

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 60

13 ნოემბერი 2008 წელი

ქ. ბათუმი

პოლიტიკური გაერთიანების წარმომადგენლების რეგისტრაციაში გატარების შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 34-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 64-ე მუხლის მე-3, მე-4 პუნქტების, 73-ე მუხლის მე-3, მე-6 პუნქტებისა და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. №83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიაში პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენ თვითონ“-ის წარმომადგენლებს მარინა ახვლედიანსა და გულო ხინთიბაძეს შეუწყდეთ წარმომადგენლის უფლებამოსილება.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენ თვითონ“-ის წარმომადგენლად №83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციაში გატარდეს ლესტამბერ მიმინოშვილი.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კომისიის მდივანი

ქ. ჯიქია